

პიტერ ბერკი

უვერტიურა: ახალი ისტორია, მისი წარსული და მომავალი
(Peter Burke ed., *New perspectives on historical writing* (University Park, PA: The Pennsylvania State University Press, 1992)

უკანასკნელი თაობის ისტორიკოსების სამყარო თავბრუდამხვევი სიჩქარით გაფართოვდა¹. ნაციონალურ ისტორიას, რომელიც დომინანტური იყო მე-19 საუკუნეში, ახლა ყურადღების დამსახურებისათვის კონკურენცია უწევს მსოფლიო ისტორიასა და ლოკალურ ისტორიასთან (რომლებიც ერთ დროს ანტიკვარებისა და მოყვარულთა იმედად იყო დატოვებული). გაჩნდა უამრავი, სპეციალიზებული გამოცემებით წარმოდგენილი ახალი სფერო. მაგალითად, სოციალური ისტორია გათავისუფლდა ეკონომიკური ისტორიისაგან და დანაწევრდა, როგორც ახალი ნაცია, ისტორიულ დემოგრაფიად, შრომის ისტორიად, ურბანულ ისტორიად, სოფლის ისტორიად და ა.შ.

ეკონომიკური ისტორია გაიყო ახალ და ძველ ისტორიებად. 1950-იანი და 1960-იანი წლების ახალი ეკონომიკური ისტორია (რომელიც ახლა შუა ხნისაა, თუ უფრო მეტის არა) საკმაოდ კარგად არის ცნობილი და არ საჭიროებს აქ განხილვას². ეკონომიკური ისტორიკოსების ინტერესი შეიცვალა და წარმოების კვლევიდან მოხმარების შესწავლაზე გადაინაცვლა. ასეთი ცვლილება კიდევ უფრო მეტად ართულებს ეკონომიკური ისტორიის დიფერენცირებას სოციალური და კულტურის ისტორიისაგან. მენეჯმენტის ისტორია ინტერესის ახალი სფეროა, რომელიც ბუნდოვანი ხდება, თუ არ გაქრება საზღვრები ეკონომიკურსა და ადმინისტრაციულ ისტორიას შორის. სპეციალიზაციის სხვა სფეროებია რეკლამირების ისტორია, ეკონომიკური და კომუნიკაციის ისტორია. დღეს ეკონომიკური ისტორიის არსებობას საფრთხეს უქმნის ახალი, მაგრამ ამბიციური წამოწყება - გარემოს ისტორია, რომელიც ეკო-ისტორიის სახელითაც არის ცნობილი.

პოლიტიკური ისტორიაც დანაწევრებულია, არა მხოლოდ ეგრეთ წოდებულ მაღალ და დაბალ სკოლებად, არამედ იმ ისტორიკოსებს შორისაც, რომლებიც დაინტერესებული არიან, ერთი მხრივ, სამთავრობო ცენტრებით, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკით ფართო მასებში. პოლიტიკური ისტორია გაფართოვდა იმ თვალსაზრისით, რომ ისტორიკოსები (ისეთი თეორეტიკოსების კვალდაკვალ, როგორც იყო მიშელ ფუკო) სულ უფრო ხშირად განიხილავდნენ ბრძოლას ძალაუფლებისათვის საწარმოს, სკოლისა და ოჯახის დონეზე კი. თუმცა, ასეთი გაფართოების საზღაური ერთგვარი იდენტობის კრიზისია. თუ პოლიტიკა ყველგანაა, მაშინ არსებობს კი პოლიტიკური ისტორიის აუცილებლობა?³ იგივე პრობლემა დგას კულტურის ისტორიკოსების წინაშეც, რადგან მათ უარი თქვეს კულტურის ცნების ვიწრო, მაგრამ ზუსტ განსაზღვრებაზე მხატვრობის,

ლიტერატურის, მუსიკის და სხვ. საფუძველზე და უპირატესობა მიანიჭეს სფეროს ანთროპოლოგიურ დეფინიციას.

ამ მზარდ და ფრაგმენტირებად სამყაროში სულ უფრო აშკარა ხდება ორიენტაციის განსაზღვრის აუცილებლობა. რას წარმოადგენს ე.წ. ახალი ისტორია? რამდენად ახალია ის? დროებითი მოდაა თუ ხანგრძლივი ტენდენცია? ჩანაცვლებს ის ან უნდა ჩანაცვლოს თუ არა ტრადიციული ისტორია, თუ მოწინააღმდეგეები შეძლებენ მშვიდობიან თანაარსებობას?

რა არის ახალი ისტორია?

ტერმინი ახალი ისტორია კარგად არის ცნობილი საფრანგეთში. *La nouvelle histoire* არის შუა საუკუნეების ცნობილი ფრანგი მკვლევრის ჟაკ ლე გოფის მიერ რედაქტირებული კრებულის სათაური. ლე გოფმა თავისი წვლილი შეიტანა ასევე მასიური სამტომიანი ესეების კრებულის რედაქტირებაში. ეს გამოცემა ეძღვნებოდა “ახალ პრობლემებს”, “ახალ მიდგომებსა” და “ახალ ობიექტებს”⁴. ამ შემთხვევებში ცხადია, თუ რას გულისხმობს ახალი ისტორია: ეს არის ისტორია, რომელიც “შექმნილია საფრანგეთში”, ქვეყანაში, სადაც წარმოიქმნა *la nouvelle vague* და *le nouveau roman*, აღარაფერი რომ ვთქვათ *la nouvelle cuisine*-ზე. უფრო კონკრეტულად, ეს ისტორია ასოცირდება *école des Annales*-თან, რომლის წევრები შემოკრებილი იყვნენ ჟურნალ *Annales: économies, sociétés, civilisations* გარშემო.

რა არის ეს *nouvelle histoire*? ზუსტი დეფინიციის მოცემა არცთუ იოლია; ეს მოძრაობა მთლიანია მხოლოდ იმასთან დაპირისპირებაში, რასაც ეწინააღმდეგება და შემდგომი გვერდები ცხადყოფს ახალი მიდგომების მრავალფეროვნებას. ამიტომ, ძნელია რაიმე უფრო მეტის შემოთავაზება, ვიდრე ახალი ისტორიის, როგორც ტოტალური ისტორიის (*histoire totale*) ან სტრუქტურული ისტორიის მახასიათებლების ზოგადი აღწერა. ამგვარად, ეს შემთხვევა შეიძლება შუა საუკუნეების იმ თეოლოგების იმიტაცია იყოს, რომელთაც, ღმერთის განსაზღვრის პრობლემასთან დაპირისპირებისას *via negativa*-ს მიანიჭეს უპირატესობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი ისტორიას განსაზღვრავთ იმის მეშვეობით, რაც ის არ არის და რასაც მისი მიმდევრები უპირისპირდებიან.

ახალი ისტორია არის ისტორია, რომელიც დაიწერა, როგორც მიზანმიმართული რეაქცია ტრადიციული “პარადიგმის” წინააღმდეგ. ამ ტრადიციულ პარადიგმას შეიძლება “რანკეანული ისტორია” ეწოდოს, დიდი გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს (1795-1886) სახელის მიხედვით, თუმცა თავად ის ნაკლებად იყო შემოფარგლული ამ მიმდინარეობით, ვიდრე მისი მიმდევრები. (ზუსტად ისევე როგორც მარქსი არ იყო მარქსისტი, რანკე არ იყო რანკეანელი). ამ პარადიგმას ასევე შეიძლება ეწოდოს ისტორიის საერთო ხედვა, არა მისი განდიდების მიზნით, არამედ იმის წარმოსაჩენად, რომ ხშირად, ძალიან ხშირად, ის აღიქმებოდა, როგორც ისტორიის კონსტრუირების ერთადერთი გზა და არა როგორც ერთ ერთი

წარსულისადმი მრავალ შესაძლო მიდგომას შორის. სიმარტივისა და სიცხადისათვის, განსხვავება ახალსა და ძველ ისტორიას შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს შვიდ პუნქტად.

(1) ტრადიციული პარადიგმის თანახმად, ისტორიული კვლევა, ძირითადად, დაკავშირებულია პოლიტიკასთან. ჯონ სილის (John Seeley), კემბრიჯის უნივერსიტეტის ისტორიის Regius Professor-ის თავდაჯერებული ვიქტორიანული ფრაზის თანახმად, “ისტორია წარსული პოლიტიკაა, ხოლო პოლიტიკა აწმყო ისტორია”. მიიჩნეოდა, რომ პოლიტიკა არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფოსთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უფრო ნაციონალური და ინტერნაციონალურია, ვიდრე ლოკალური. თუმცა, ის მოიცავდა ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის ისტორიას და ასევე ომს, რომელიც სამხედრო თეორეტიკოსმა კარლ ფონ კლაუზევიცმა განსაზღვრა როგორც “პოლიტიკის განსხვავებული ხერხებით გაგრძელება”. ისტორიის სხვა მიმართულებები - მაგალითად ხელოვნების ისტორია ან მეცნიერების ისტორია მთლიანად არ გამოირიცხებოდა ტრადიციული პარადიგმის მიერ, ისინი მარგინალიზებული იყვნენ, რამდენადაც “ნამდვილი” ისტორიკოსის ინტერესების პერიფერიაზე არსებულად მიიჩნეოდნენ.

მეორე მხრივ, ახალი ისტორია დაინტერესდა ადამიანის აქტივობის პრაქტიკულად ყველა სფეროთი. როგორც მეცნიერმა ჯ.ბ.ს. ჰოლდეინმა (J.B.S. Haldane) ერთხელ აღნიშნა, “ყველაფერს აქვს ისტორია”. იგულისხმება, რომ ყველაფერს აქვს წარსული, რომლის რეკონსტრუირება და წარსულის სხვა სფეროებთან დაკავშირება პრინციპში შესაძლებელია⁶. ასე გაჩნდა ანალების სკოლის ისტორიკოსებისათვის ასე ძვირფასი დევიზი - “ტოტალური ისტორია”. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აღმავლობა განიცადა იდეების ისტორიამ. უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე გაჩნდა ისტორიული კვლევის მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელთა ინტერესის სფეროში შემავალი საკითხები მანამდე ისტორიის მქონედ არ განიხილებოდა. მაგალითად, ბავშვობა, სიკვდილი, სიგიჟე, კლიმატი, სუნი, სისუფთავე და სიბინძურე, ჟესტები, სხეული, ქალურობა, კითხვა, ლაპარაკი და სიჩუმეც კი.⁷ რაც ადრე უცვლელად განიხილებოდა, ახლა “კულტურულ კონსტრუქციად” მოიაზრება, რომელიც ცვლილებებს განიცდის დროში და სივრცეში.

კულტურული რელატივიზმი, რომელიც იმპლიციტურია ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ახალი ისტორიის ფილოსოფიური საფუძველი არის იდეა, რომლის თანახმად რეალობა სოციალურად და კულტურულად არის განპირობებული. მრავალი სოციალური ისტორიკოსისა და ანთროპოლოგის მიერ ამ შეხედულების გაზიარებით შეიძლება აიხსნას უკანასკნელ პერიოდში ამ ორი დისციპლინის დაახლოება. ეს რელატივიზმი ასევე ასუსტებს ისტორიაში ტრადიციულ განსხვავებას ცენტრალურსა და პერიფერიულს შორის.

(2) ტრადიციული ისტორიკოსები ისტორიას განიხილავენ ძირითადად როგორც მოვლენათა თხრობას, მაშინ როდესაც ახალი ისტორია დაკავებულია სტრუქტურების ანალიზით. ფერნან ბროდელი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ ნაშრომში *ხმელთაშუაზღვისპირეთი უარს ამბობს მოვლენათა ისტორიაზე (histoire événementielle)*; იგი მას განიხილავს მხოლოდ როგორც ქაფს ისტორიის ზღვის ტალღებზე⁸. ბროდელის თანახმად, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები საშუალო ხანგრძლივობის დროს და გეოისტორიული ცვლილებები დიდი ხანგრძლივობის დროს არის ის, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ამ იდეის საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქვა და მოვლენებს აღარ უგულვებელყოფენ ისე ადვილად, როგორც ეს ადრე ხდებოდა, სხვადასხვაგვარი სტრუქტურები კვლავაც რჩება სერიოზული დაკვირვების ობიექტად.

(3) ტრადიციული ისტორია გვთავაზობს ისტორიის ზემოდან ხედვას, ის ყოველთვის კონცენტრირებულია დიდი ადამიანების დიდ ქმედებებზე, სახელმწიფო მოხელეებზე, გენერლებზე და, ზოგ შემთხვევაში, საეკლესიო მოღვაწეებზე. დანარჩენ კაცობრიობას უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა ისტორიის დრამაში. მაშინ როდესაც ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრ პუშკინი მუშაობდა გლეხთა აჯანყებასა და მის წინამძღოლ პუგაჩოვის საკითხზე, იმპერატორმა ნიკოლოზმა ასეთი კომენტარი გააკეთა: “ასეთ ადამიანს არ აქვს ისტორია.” 1950-იან წლებში, როდესაც ბრიტანელი ისტორიკოსის სადოქტორო ნაშრომი ეხებოდა საფრანგეთის რევოლუციაში სახალხო მოძრაობას, ერთ-ერთმა გამომცდელმა მას ჰკითხა: “რატომ იწუხებთ თავს ამ ბანდიტებით?”⁹

ამის საპირისპიროდ, ახალი ისტორიის მიმდევართა დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია ისტორიის ხედვა „ქვემოდან“, ჩვეულებრივი ხალხის თვალით, ასევე სოციალური ცვლილებების მათი გამოცდილება. დიდი ყურადღება დაეთმო პოპულარული კულტურის კვლევას. ეკლესიის ისტორიით დაკავებულმა ისტორიკოსებმა დაიწყეს მისი ისტორიის შესწავლა როგორც „ქვემოდან“, ასევე „ზემოდან“.¹⁰ ინტელექტუალური ისტორიის მიმდევრებმაც ყურადღება გადაიტანეს დიდ წიგნებიდან ან დიდი დეებიდან - მათი ეკვივალენტური დიდი ადამიანებიდან - კოლექტიური მენტალობის, ან დისკურსის ან “ენების” ისტორიაზე. მაგალითად, სქოლასტიციზმის ენა ან ზოგადი სამართლის ენა¹¹.

(4) ტრადიციული პარადიგმის თანახმად, ისტორია უნდა ემყარებოდეს დოკუმენტებს. რანკეს ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ნარატიული წყაროების - ქრონიკების - არასრულყოფილების ჩვენება იყო. ის ხაზს უსვამდა, რომ ისტორია მთავრობის მიერ გამოცემულ და არქივებში დაცულ ოფიციალურ ჩანაწერებს უნდა დაფუძნებოდა. ამ მიღწევის საფასური სხვა სახის წყაროების იგნორირება იყო. დამწერლობამდელი ისტორია უარყოფილ იქნა როგორც “პრეისტორია”. მაგრამ, “ქვემოდან დანახული ისტორიის” მიმდინარეობამ, თავის მხრივ, ცხადყო ამ სახის

დოკუმენტების არასრულყოფილება. ოფიციალური ჩანაწერები ზოგადად ოფიციალურ თვალთახედვას გამოხატავს. ერეტიკოსებისა და მეამბოხეების დამოკიდებულების რეკონსტრუქციისათვის ამ ჩანაწერებთან ერთად აუცილებელია სხვა სახის წყაროების გამოყენებაც.

იმ შემთხვევაში, თუ ისტორიკოსების კვლევის საგანი ადამიანის მოღვაწეობის მრავალფეროვნებაა, მათ უნდა შეისწავლონ მრავალფეროვანი წყაროები და მონაცემები. ზოგიერთი მათგანი ვიზუალურია, ზოგი - ზეპირი. არის ასევე სტატისტიკური მონაცემები: ვაჭრობის, მოსახლეობის, არჩევნების შესახებ. რაოდენობრივი ისტორიის აყვავების პერიოდი **1950-1960**-იანი წლები იყო, როდესაც ზოგიერთი ენთუზიასტის განცხადებით მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდი იყო სანდო. ამ განცხადებას საწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა რომელიც, გარკვეულწილად, თავად ამ მეთოდის წინააღმდეგაც იყო მიმართული, მაგრამ ინტერესი უფრო მოკმალებული რაოდენობრივი ისტორიისადმი კვლავ განაგრძობს ზრდას. მაგალითად, ბრიტანეთში, **1987** წელს ჩამოყალიბდა ისტორიის და გამოთვლის ასოციაცია (*Association for History and Computing*).

(5) ტრადიციული პარადიგმის თანახმად, როგორც ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა რ. კოლინგუდმა შთამბეჭდავად აღნიშნა, “როდესაც ისტორიკოსი სვამს კითხვას: “რატომ ჩასცა მახვილი ბრუტუსმა კეისარს?” ის გულისხმობს: “რა მოსაზრებათა გამო გადაწყვიტა ბრუტუსმა კეისარისათვის მახვილის დარტყმა?”¹² ისტორიული ანალიზის ეს მოდელი მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო გააკრიტიკეს ბოლო პერიოდის ისტორიკოსებმა, უმთავრესად იმიტომ, რომ ის ვერ სცემს პასუხს ისტორიკოსთა მიერ დასმულ მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც კოლექტიურ მოძრაობებთან, ასევე ინდივიდუალურ ქმედებებთან, როგორც ტენდენციებთან, ასევე მოვლენებთან.

მაგალითად, რატომ გაიზარდა ფასები მე-16 საუკუნის ესპანეთში? ეკონომიკური ისტორიკოსები ვერ თანხმდებიან ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მათ მიერ დასახელებული მიზეზების მრავალფეროვნება (ვერცხლის იმპორტი, მოსახლეობის ზრდა და ა.შ.) შორს სცილდება კოლინგუდის მოდელს. მე-16 საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთის ცნობილ კვლევაში, რომელიც პირველად **1949** წელს გამოიცა, ფერნან ბროდელი მხოლოდ მესამე და ბოლო თავში სვამს კითხვას, რომლებიც ოდნავ წააგავს კოლინგუდისას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ავტორი მნიშვნელოვნად განსხვავებულ პასუხს გვთავაზობს, ხაზს უსვამს რა მისი პროტაგონისტის, მეფე ფილიპე II შეზღუდულ ძალაუფლებას და თანამედროვე პერიოდის ისტორიაზე მისი გავლენის სისუსტეზე.¹³

(6) ტრადიციული პარადიგმის თანახმად, ისტორია ობიექტურია. ისტორიკოსის ამოცანაა მკითხველისთვის ფაქტების მიწოდება, რანკეს მრავალჯერ ციტირებული ფრაზის თანახმად, ისე, როგორც “ეს მოხდა სინამდვილეში”. მისი მოკრძალებული უარი ისტორიის ფილოსოფიურ საზრისის ძიებაზე მემკვიდრეების მიერ

ინტერპრეტირებულ იქნა როგორც არატენდენციური ისტორიის მანიფესტი. კემბრიჯის თანამედროვე ისტორიის (გამოიცემა 1902 წლიდან) რედაქტორი ლორდი ექტონი, ცნობილ წერილში არწმუნებდა ავტორთა საერთაშორისო ჯგუფს იმაში, რომ “ჩვენი ვატერლოო უნდა იყოს ისეთი, რომელიც თანაბრად დამაკმაყოფილებელი იქნება ფრანგისა და ინგლისელის, გერმანელისა და ჰოლანდიელისათვის” და რომ მკითხველი ვერ უნდა მიხვდეს, სად შეწყვიტა წერა ერთმა ავტორმა და საიდან გააგრძელა მეორემ.¹⁴

დღეს ამ იდეალის მიღწევა არარეალურად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ძალისხმევაა მიმართული იმისაკენ, რომ თავიდან ავიცილოთ კანის ფერთან, მრწამსთან, კლასთან ან გენდერთან დაკავშირებული ცრურწმენები (prejudices), ჩვენ არ შეგვიძლია თავი ავარიდოთ წარსულის ხედვას ამა თუ იმ კონკრეტული პოზიციიდან. აშკარაა, რომ კულტურული რელატივიზმი თანაბრად ეხება როგორც ისტორიოგრაფიას, ისევე მის ობიექტებს. ჩვენი გონება არ აღიქვამს რეალობას უშუალოდ. ჩვენს მიერ სამყაროს აღქმა განპირობებულია ტრადიციების, სქემებისა და სტერეოტიპების ერთობლიობით, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში. ამ ვითარებაში, ჩვენს მიერ კონფლიქტების გააზრება ცხადია, უფრო მეტად საპირისპირო მოსაზრებების წარმოდგენით ხდება, ვიდრე იმ კონსენსუსით, რაზეც ლორდი ექტონი მიუთითებდა. ჩვენ დავშორდით ისტორიის იდეალურ ჟღერადობას და მივუახლოვდით მის ჰეტეროგლოსიას - “განსხვავებული და დაპირისპირებული ხმების ერთობლიობას”.¹⁵

(7) რანკეანული ისტორია პროფესიონალი ისტორიკოსების ტერიტორია იყო. მე-19 საუკუნე არის პერიოდი, როდესაც ისტორია პროფესიად გარდაიქმნა, უნივერსიტეტებში ჩამოყალიბდა დეპარტამენტები, დაიწყო სპეციალიზებული ჟურნალების გამოცემა, მაგალითად, *Historische Zeitschrift* და *English Historical Review*. წამყვან ისტორიკოსთა უმრავლესობა ასევე პროფესიონალები იყო. გამორჩეულ გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ფილიპ არიე (Philippe Ariès), რომელიც საკუთარ თავს ახასიათებდა როგორც “საკვირაო ისტორიკოსს”. ანალების ჯგუფის მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ მათ ცხადყვეს - ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა ისტორიამ შეიძლება დააკმაყოფილოს ის მაღალი პროფესიული სტანდარტი, რომელიც რანკემ პოლიტიკური ისტორიის სფეროში დააწესა.

და მაინც, ინტერესი ადამიანის აქტივობის ყველა სფეროს მიმართ უზიძვრებლად მათ ინტერდისციპლინურობისაკენ. რაც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას და თანამშრომლობას სოციალურ ანთროპოლოგებთან, ეკონომისტებთან, ლიტერატურის კრიტიკოსებთან, ფსიქოლოგებთან, სოციოლოგებთან და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან. ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ისტორიკოსები რომლებიც, ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლებად იზოლირებული იყვნენ ისტორიკოსთა ძირითადი ნაწილისაგან, ახლა უფრო რეგულარულად თანამშრომლობენ მათთან. ისტორიის ქვემოდან დანახვის მოძრაობა/History-from-

below movement ასევე ასახავს ახალ მისწრაფებას - უბრალო ადამიანების მიერ საკუთარი წარსულის ხედვა უფრო მეტი სერიოზულობით იყოს განხილული, ვიდრე ამას აკეთებდნენ ადრინდელი პერიოდის პროფესიონალი ისტორიკოსები.¹⁶ გარკვეულწილად, იგივე შეიძლება ითქვას ზეპირ ისტორიაზეც. ამ თვალსაზრისით, ჰეტეროგლოსია მეტად არსებითია ახალი ისტორიისათვის.

რამდენად ახალია ახალი ისტორია?

ვინ გამოიგონა ან აღმოაჩინა ახალი ისტორია? ეს ფრაზა ხანდახან **1970-1980-**იანი წლების პროცესების აღსანიშნად გამოიყენება. ეს არის პერიოდი, როცა ტრადიციული პარადიგმის წინააღმდეგ რეაქციამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რომელშიც იაპონიის, ინდოეთის, ლათინური ამერიკის და სხვა ქვეყნების ისტორიკოსები იყვნენ ჩართული. თუმცა ნათელია, რომ ის მრავალი ცვლილება, რომელიც ისტორიულმა მეცნიერებამ განიცადა ამ ორი ათწლეულის განმავლობაში უფრო ხანგრძლივი ტენდენციის ნაწილია.

მრავალი ადამიანისთვის, ახალი ისტორია დაკავშირებულია ლუსიენ ფევრის და მარკ ბლოკის, რომლებმაც დააფუძნეს ჟურნალი ანალები **1929** წელს საკუთარი მიდგომის განსავითარებლად და, ასევე, შემდეგ თაობაში, ფერნან ბროდელის სახელებთან. მართლაც ძალიან მწელი იქნება ამ ადამიანების თაოსნობით ისტორიის განსაახლებლად მიმდინარე მოძრაობის მნიშვნელობის უარყოფა. თუმცა ისინი მარტო არ იყვნენ რანკეანელების წინამდებე აჯანყებაში. ბრიტანეთში **1930** იანი წლებში ლუის ნემიერმა (Lewis Namier) და რ. ჰ. თოუნემ (R. H. Tawney) უარი თქვეს მხოლოდ მოვლენების ამსახველ ნარატივზე და უპირატესობა სტრუქტურულ ისტორიას მიანიჭეს. გერმანიაში დაახლოებით **1900** წელს, კარლ ლამპრეხტი თავის სფეროში არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა, რამდენადაც ექვეყნებ დააყენა ტრადიციული პარადიგმა. ქედმაღლური ფრაზა - *histoire événementielle*, "მოვლენაზე ორიენტირებული", გაჩნდა სწორედ ამ დროს, ბროდელის, ბლოკის და ფევრის ეპოქაზე მთელი თაობით ადრე.¹⁷ ის გამოხატავს მეცნიერთა იმ ჯგუფის იდეებს, რომელიც ცნობილი ფრანგი სოციოლოგის ემილ დიურკჰაიმის და მისი ჟურნალის *Année Sociologique* გარშემო იყო შემოკრებილი. ამ ჟურნალმა ბიძგი მისცა ანალების ჩამოყალიბებას.

თავად ფრაზას "ახალი ისტორია" თავის ისტორია აქვს. ამ ტერმინის ყველაზე ადრეული გამოყენება, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, თარიღდება **1912** წლით, როცა ამერიკელმა მეცნიერმა ჯეიმს ჰარვეი რობინსონმა (James Harvey Robinson) გამოაქვეყნა წიგნი ამ სათაურით. შინაარსი შეესაბამებოდა სათაურს. რობინსონის სიტყვებით, "ისტორია მოიცავს იმ ყველაფრის ნაკვალევს და ნარჩენებს, რაც ადამიანს გაუკეთებია ან უფიქრია დედამიწაზე მისი გაჩენის დროიდან". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ემხრობოდა ტოტალურ ისტორიის. რაც შეეხება მეთოდს, ისევ რობინსონის თქმით, "ახალი ისტორია იყენებს ყველა იმ აღმოჩენებს ადამიანების

შესახებ, რომლებიც კეთდება ანთროპოლოგების, ეკონომისტების, ფსიქოლოგების და სოციოლოგების მიერ”.¹⁸ ამ პერიოდის ამერიკაში ახალი ისტორიის მოძრაობა წარუმატებელი იყო, მაგრამ ბოლოდროინდელი ამერიკული ენთუზიაზმი ანალების მიმართ უფრო გასაგები გახდება თუ გავიხსენებთ ამ ლოკალურ გამოცდილებას.

არ არსებობს საფუძველი, რომ გავჩერდეთ **1912**, ან თუნდაც **1900** წელზე. ბოლო პერიოდში აღინიშნა, რომ ძველი ისტორიის ახლით ჩანაცვლება (უფრო ობიექტურით და ნაკლებად ლიტერატურულით) პერიოდულად განმეორებადი თემაა ისტორიოგრაფიის ისტორიაში.¹⁹ მსგავსი მოთხოვნები წამოაყენა რანკეს სკოლამ მე-**19** საუკუნეში, ბენედიქტელმა სწავლულმა ჟან მაბილიონმა (Jean Mabillon), რომელმაც ჩამოაყალიბა წყაროს კრიტიკის ახალი მეთოდები მე-**17** საუკუნეში და ბერძენმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა, რომელმაც ზოგიერთ მის კოლეგას უბრალო რიტორიკაში დასდო ბრალი ქრისტეს დაბადებამდე **150** წლით ადრე. სულ ცოტა პირველ შემთხვევაში, სიახლეზე განაცხადი საკმაოდ ეფექტური იყო. **1867** წელს ცნობილმა ჰოლანდიელმა ისტორიკოსმა რობერტ ფრუინმა გამოაქვეყნა ნარკვევი სათაურით ”ახალი ისტორიოგრაფია”, რომელიც მეცნიერული, რანკეანული ისტორიის დაცვას ისახავდა მიზნად.²⁰

უფრო ფართო, ვიდრე პოლიტიკური მოვლენების ამსახველი ისტორიის შექმნის მცდელობებს ასევე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება მივადევნოთ თვალი. მე-**19** საუკუნის გვიან პერიოდში გერმანიაში, ბრიტანეთში და სხვაგან ჩამოყალიბდა ეკონომიკის ისტორია, როგორც სახელმწიფოს ისტორიის ალტერნატივა. **1860** წელს შვეიცარიელმა მეცნიერმა იაკობ ბურკჰარდტმა გამოსცა ნაშრომი *იტალიის რენესანსული ცივილიზაცია*, რომელიც კონცენტრირებული იყო უფრო კულტურის ისტორიის და ტენდენციების აღწერაზე, ვიდრე მოვლენების ასახვაზე. მე-**19** საუკუნის სოციოლოგები, როგორებიცაა ოგიუსტ კონტი, ჰერბერტ სპენსერი, რომ არაფერი ვთქვათ მარქსზე, დაინტერესებული იყვნენ ისტორიით, მაგრამ ქედმაღლურად უყურებდნენ პროფესიონალ ისტორიკოსებს. მათ აინტერესებდათ სტრუქტურები, არა მოვლენები, და ხშირად ავიწყლებათ, რომ ”ახალი ისტორია” დავალებულია მათზე.

ისინი, თავის მხრივ, დავალებულები არიან წინამორბედებზე, რასაც არ აღიარებდნენ. ესენია განმანათლებლობის ისტორიკოსები, მათ შორის, ვოლტერი, გიბონი, რობერტსონი, ვიკო, მოსერი (Moser), და სხვები. მე-**18** საუკუნეში არსებობდა საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ისეთი ტიპის ისტორიის დაწერას, რომელიც არ შემოიფარგლებოდა სამხედრო და პოლიტიკური მოვლენებით და მისი ინტერესის საგანი იქნებოდა სამართლი, ვაჭრობა, საზოგადოების *manière de penser*, მისი ადათები და ტრადიციები, ”ეპოქის სული”. გერმანიაში, კერძოდ, დიდი ინტერესი იყო მსოფლიო ისტორიის მიმართ.²¹ ქალების ისტორიის შესახებ კვლევები გამოსცა შოტლანდიელმა უილიამ ალექსანდერმა (William Alexander) და კრისტოფ

მეინერსმა (Christop Meiners), გოტინგენის (ახალი სოციალური ისტორიის ცენტრი მე-18 საუკუნის დასასრულს) უნივერსიტეტის პროფესორმა.²²

ამგვარად, ახალი არის არა იმდენად ალტერნატიული ისტორიის არსებობის ფაქტი, რამდენადაც ის, რომ მისი მიმდევრები დღეს ძალიან მრავალრიცხოვანი არიან და ისინი უარს ამბობენ მარგინალურ სტატუსზე.

დეფინიციის პრობლემა

ცვლილებების მიზნით დაწყებული მოძრაობა ტრადიციული პარადიგმის არაადეკვატურობის ფართოდ გავრცელებული შეგრძნებიდან წარმოიშვა. არაადეკვატურობის ამ განცდის გაგება შეუძლებელია მანამ სანამ არ დავინახავთ ისტორიკოსის ტექსტის მიღმა, უფრო დიდ სამყაროში, მიმდინარე ცვლილებებს. მაგალითად, დეკოლონიზაციამ და ფემინიზმმა უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე ისტორიოგრაფიაზე. მომავალში ეკოლოგიურ მოძრაობას სულ უფრო მეტი გავლენა ექნება ისტორიის წერის ხასიათზე.

მართლაც, მან უკვე განაპირობა მთელი რიგი კვლევების შექმნა. ბროდელის ცნობილმა მონოგრაფიამ ხმელთაშუაზღვისპირეთზე ყურადღება იმით მიიპყრო, როცა ის პირველად დაიბეჭდა 1949 წელს, რომ მასში ძალიან დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფიზიკურ გარემოს - ხმელეთს და ზღვას, მთებს და კუნძულებს. თუმცა თანამედროვე ეტაპზე ბროდელის მიერ დახატული სურათი უჩვეულოდ სტატიკურად გამოიყურება, რადგან ავტორს სერიოზულად არ განუხილავს ის თუ როგორ იცვლებოდა გარემო ადამიანის მიერ. მაგალითად, ადამიანი ანადგურებდა ტყეს იმ მიზნით, რომ აეშენებინა გალერები, რომლებიც კარგადაა ასახული ამ წიგნის ფურცლებზე.

უფრო დინამიური ეკო-ისტორია შემოგვთავაზეს სხვადსხვა ავტორებმა. ულიამ ქრონონმა (William Cronon) დაწერა მშვენიერი წიგნი კოლონიურ ახალ ინგლისზე. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ გავლენა იქონია ევროპელების გამოჩენამ რეგიონის ფლორასა და ფაუნაზე. ის საუბრობს თახვისა და დათვის, კედრისა და თეთრი ფიჭვის გაქრობასა და მესაქონლეობის ევროპაში გავრცელებული დარგების მნიშვნელობის ზრდაზე. ალფრედ ქროსბი (Alfred Crosby) სულ სხვა მასშტაბით განიხილავს 900-1900 წლებში მომხდარ, როგორც თავად უწოდებს, “ევროპის ბიოლოგიურ ექსპანსიას” და ევროპული დაავადებების როლს “ახალი ევროპების” წარმატებულ ჩამოყალიბებაში ახალი ინგლისიდან ახალ ზელანდიამდე.²³

შიდა და გარე ფაქტორების გამო, ალბათ, საჭიროა ისტორიოგრაფიის ტრადიციული პარადიგმის კრიზისის შესახებ საუბარი. თუმცა, ახალ პარადიგმასაც აქვს დეფინიციის, წყაროების, მეთოდების, ანალიზის პრობლემები.

დეფინიციის პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ ახალი ისტორიკოსები მათთვის უცნობი ტერიტორიის შესწავლას იწყებენ და, უცხო კულტურების მკვლევრების მსგავსად, მათ ნეგატიური სახით წარმოუდგენიათ ის, რასაც ეძიებენ.

აღმოსავლეთის ისტორია დასავლელი ისტორიკოსების მიერ აღქმული იყო, როგორც მათი ისტორიის საპირისპირო. ისინი უგულბებლყოფდნენ განსხვავებას ახლო და შორეულ აღმოსავლეთს, ჩინეთსა და იაპონიას შორის და ა.შ.²⁴ დასავლელების მიერ მსოფლიო ისტორია ხშირად დანახულია, როგორც დასავლეთისა და დანარჩენი სამყაროს ურთიერთობის ისტორია. ამ კონტექსტში იგნორირებულია ურთიერთობა აზიასა და აფრიკას, აზიასა და ამერიკას შორის და ა.შ. და ისევ, ქვემოდან დანახული ისტორია თავდაპირველად გააზრებულ იქნა, როგორც ზემოდან დანახული ისტორიის ინვერსია, აქცენტით "დაბალ" კულტურაზე "მაღალი" კულტურის ნაცვლად. თუმცა, კვლევის პროცესში, მეცნიერები სულ უფრო აცნობიერებენ იმ პრობლემებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ დიქოტომიისთვის.

მაგალითად, თუ პოპულარული კულტურა "ხალხის" კულტურაა, მაშინ ვინ არის ხალხი? ვინ იგულისხმება ხალხში: დარიბი, "დაქვემდებარებული კლასი", როგორც მარქსისტი ინტელექტუალი ანტონიო გრამში უწოდებდა მათ? წერაკითხვის უცოდინარნი და გაუნათლებელნი? ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მიჯნები აუცილებლად ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება განათლებას, რა გულისხმობს ის? იმას რაც ისწავლება მხოლოდ ოფიციალურ სასწავლო დაწესებულებებში - სკოლებსა და უნივერსიტეტებში? ჩვეულებრივი ადამიანები გაუნათლებლები არიან, თუ მათ უბრალოდ ელიტისაგან განსხვავებული განათლება და კულტურა აქვთ?

ფრაზა "ქვემოდან დანახული ისტორია" თითქოს ამ სიძნელებიდან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა, მაგრამ ის თავადაც წარმოშობს პრობლემებს. სხვადასხვა კონტექსტში მისი მნიშვნელობა განსხვავებულია. მაგალითად, რას უნდა ეხებოდეს "ქვემოდან დანახული" პოლიტიკური ისტორია? ყველა იმ ადამიანის შეხედულებას და მოქმედებას, რომელსაც ძალაუფლებასთან შეხება არ აქვს, თუ ლოკალურ და ფართო მასების დონეზე განხორციელებულ პოლიტიკას?; რას უნდა ეხებოდეს "ქვემოდან დანახული" რელიგიის ისტორია? საერო ადამიანების, მათი სოციალური სტატუსის მუხედავად, წარმოდგენებს რელიგიაზე?; რას უნდა ეხებოდეს "ქვემოდან დანახული" მედიცინის ისტორია? სახალხო მკურნალებს, როგორც პროფესიონალი ექიმების ალტერნატივას, თუ პაციენტების გამოცდილებას ან დაავადებების დიაგნოზებს?²⁵ რას უნდა ეხებოდეს "ქვემოდან დანახული" სამხედრო ისტორია? რიგითი ჯარისკაცების მიერ აზენკურის ან ვატერლოოს ბრძოლების აღქმას, როგორც ეს ჯონ კიგანმა (John Keegan) აღწერა ძალიან შთამბეჭდავად, თუ მოქალაქეების მიერ ომის განცდას?²⁶ რას უნდა ეხებოდეს "ქვემოდან დანახული" განათლების ისტორია? უბრალო მასწავლებლებს, მინისტრებისა და განათლების თეორეტიკოსების ნაცვლად, როგორც ეს Jacques Ozouf ასახა, თუ მოსწავლეების თვალთ დანახულ სკოლებს?²⁷ რას უნდა ეხებოდეს

“ქვემოდან დანახული” ეკონომიკის ისტორია? წვრილ ვაჭარს თუ წვრილ მომხმარებელს?

პოპულარული კულტურის ისტორიის დეფინიციის პრობლემას განაპირობებს ის, რომ ტერმინი “პოპულარულთან” შედარებით “კულტურის” ცნება გაცილებით რთული განსასაზღვრელი ჩანს. კულტურის ე.წ. “ოპერის თეატრის” დეფინიცია (როგორც მაღალი ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა და ა.შ.) ვიწრო, მაგრამ მკაფიო განსაზღვრებას იძლეოდა. ახალ ტიპის ისტორიაში კულტურის ფართო გაგებას ცენტრალური ადგილი უკავია.²⁸ სახელმწიფო, სოციალური ჯგუფი, ასევე გენდერი ან საზოგადოებაც კი კულტურულ კონსტრუქტად განიხილება. თუმცა, თუ ჩვენ კულტურის ცნებას ფართო გაგებით ვიყენებთ, მაშინ, სულ ცოტა, უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს თუ რა არ არის კულტურა?

დეფინიციის პრობლემა შეექმნა, აგრეთვე, ყოველდღიური ყოფის ისტორიას. გერმანელები მას *Alltagsgeschichte*, უწოდებენ. საკუთრივ ფრაზა არ არის ახალი: *La vie quotidienne* იყო ფრანგი გამომცემლის აშეტის (Hachette) მიერ 1930-იან წლებში გამოცემული სერიის სათაური. ახალია ის, რომ ყოველდღიურ ყოფას თანამედროვე ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, კერძოდ, მას შემდეგ რაც 1967 წელს ბროდელის ნაშრომი *მატერიალური ცივილიზაცია* გამოვიდა.²⁹ ერთ დროს ტრივიალურად მიჩნეული და უარყოფილი ყოველდღიური ყოფის ისტორია ახლა ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ ერთადერთ რეალურ ისტორიად განიხილება. ანუ, ყოველდღიური ყოფა არის ის ცენტრალური თემა, რომელთანაც სხვა დანარჩენი საკითხი უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველდღიურობა ასევე სოციოლოგიის (მოყოლებული მიშელ დე სერტოდან (Michel de Certeau) ერვინგ გოფმანით (Erving Goffman) დამთავრებული) და ფილოსოფიის (მარქსისტული თუ ფენომენოლოგიური) თანამედროვე მიდგომების გადაკვეთაზე მდებარეობს.³⁰

ამ მიდგომებისათვის ორდინარული გამოცდილების სამყაროს მიმართ (ნაცვლად საზოგადოებისა აბსტრაქტულად) ინტერესი კვლევის საერთო ამოსავალი წერტილია. გარდა ამისა, მათ აერთიანებთ ყოველდღიური ყოფის პრობლემურად გააზრების მცდელობა, რაც მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, რომ ქცევა ან ღირებულებები, რომელიც აღიარებულია ერთ საზოგადოებაში, უარყოფილია, როგორც თავისთავად აბსურდული, მეორეში. ისტორიკოსები, სოციალური ანთროპოლოგების მსგავსად, ცდილობენ გამოავლინონ ყოველდღიური ყოფის ლატენტური პრინციპები (ყოველდღიურობის “პოეტიკა” როგორც რუსმა სემიოტიკოსმა იური ლოტმანმა აღნიშნა) და აჩვენონ მკითხველებს რას ნიშნავს იყო მამა ან ქალიშვილი, მმართველი ან წმინდანი ამა თუ იმ კულტურაში.³¹ ამ თვალსაზრისით, სოციალური და კულტურული ისტორია ერთმანეთისაგან ძნელი გასამიჯნია. ზოგიერთი მკვლევრები თავს ახალ “კულტურის ისტორიკოსებად” მიიჩნევენ, სხვები - “სოციო-კულტურულ” ისტორიკოსებად.³² ნებისმიერ

შემთხვევაში, ისტორიოგრაფიაზე კულტურული რელატივიზმის გავლენა გარდაუვალი ჩანს.

თუმცა, როგორც სოციოლოგი ნორბერტ ელიასი თავის მნიშვნელოვან ნარკვევში მიუთითებდა, ყოველდღიურობის ცნება არც ისე ზუსტია და უფრო რთულია ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ელიასი გამოარჩევს ამ ცნების 8 თანამედროვე მნიშვნელობას პირადი ცხოვრებით დაწყებული უბრალო ადამიანების სამყაროთი დამთავრებული.³³ ყოველდღიურობა მოიცავს მოქმედებებს (ბროდელი მას რუტინის სფეროდ განსაზღვრავს) და, ასევე, დამოკიდებულებებს, რომელსაც მენტალური ჩვევები შეიძლება ვუწოდოთ. ის შეიძლება რიტუალსაც მოიცავდეს. რიტუალი, როგორც ინდივიდისა და ერთობების ცხოვრებაში განსაკუთრებული შემთხვევების მარკერი, ხშირად ყოველდღიურის ოპოზიციაში განიხილება. მეორე მხრივ, უცხოელი მოგზაურები ხშირად აფიქსირებენ ყოველდღიური რიტუალის ფაქტებს ამა თუ იმ საზოგადოების ყოფაში - ჭამის თავისებურებებში, მისალმების ფორმაში დ ა.შ. - რომლებსაც ადგილობრივები რიტუალად საერთოდ ვერ აღიქვამენ.

ყოველდღიურ სტრუქტურებსა და ცვლილებას შორის ურთიერთობის აღწერა ან ანალიზი თანაბარი სირთულის ამოცანას წარმოადგენს, რადგან ყოველდღიურობა მოკლებულია დროითობას. სოციალურმა ისტორიკოსებმა უნდა აჩვენონ თუ რა თვალსაზრისით არის ყოველდღიურობა ისტორიის ნაწილი და დაუკავშირონ ის ისეთ დიდ მოვლენებს, როგორცაა რეფორმაცია და საფრანგეთის რევოლუცია, ან ისეთ ხანგრძლივ ტენდენციებს, როგორცაა ვესტერნიზაცია ან კაპიტალიზმის წარმოშობა. ცნობილ სოციოლოგ მაქვს ვებერს ეკუთვნის ასევე ცნობილი ტერმინი "რუტინიზაცია" (*Veralltaglichung*, პირდაპირი მნიშვნელობით - "გაყოველდღიურება"). სოციალური ისტორიკოსებისთვის შეიძლება საინტერესო საკითხი იყოს ერთი მხრივ, მთავარ მოვლენებსა და ტენდენციებს და მეორე მხრივ, ყოველდღიური ყოფის სტრუქტურებს შორის ურთიერთმიმართების პრობლემა. რა მასტშაბით, რა საშუალებებით და რა პერიოდის განმავლობაში შეაღწია საფრანგეთის ან რუსეთის რევოლუციამ სხვადასხვა სოციალურის ჯგუფის ცხოვრებაში, რა ხარისხით და როგორი წარმატებით გაუწიეს მათ წინააღმდეგობა?

წყაროების პრობლემა

ახალი ისტორიკოსების მთავარი პრობლემა წყაროები და მეთოდებია. როდესაც ისტორიკოსები წარსულის შესახებ ახალ კითხვებს სვამენ, ირჩევენ ახალ საკვლევ პრობლემას მათ უნდა მოიძიონ ახალი სახის წყაროები, რომ შეავსონ ოფიციალური დოკუმენტების მონაცემები. ისტორიკოსების ნაწილი დაკავდა ზეპირი ისტორიით, ნაწილი - გამოსახულებებითა და სახეებით, ზოგი კი - სტატისტიკით. ასევე, დღის წესრიგში დადგა ოფიციალური ჩანაწერების ახლებურად წაკითხვის და გააზრების საჭიროება. მაგალითად, პოპულარული კულტურის ისტორიკოსები ფართოდ იყენებდნენ სასამართლოს ჩანაწერებს, განსაკუთრებით ბრალდებულთა დაკითხვის

ოქმებს. ორი ძალიან ცნობილი კვლევა "ქვემოდან დანახულ ისტორიაში" ეფუძნება ინკვიზიციის გამოძიების ჩანაწერებს. ე. ლე რუა ლადიურის *მონტაიუ/Montailou (1975)*, და გინზბურგის *ყველი და მატლი/The Cheese and the Worms (1986)*.

თუმცა ახალი ტიპის წყაროების გამოყენებამ სხვა რთული პრობლემების წინაშე დააყენა ისტორიკოსები. პოპულარული კულტურის ისტორიკოსები ჩვეულებრივი, ყოველდღიური შეხედულებების რეკონსტრუქციას იმ ჩანაწერებზე დაყრდნობით ცდილობენ, რომლებშიც აისახა ბრალდებულთა ცხოვრებაში მიმდინარე ექსტრაორდინარული მოვლენები: დაკითხვები და სასამართლო პროცესები. ისინი ჩვეულებრივი ხალხის აზროვნების რეკონსტრუქციას ბრალდებულის შეხედულებების საფუძველზე აპირებდნენ, რომელსაც რომელიმე ტიპური ჯგუფის წევრობის განცდა არ ექნებოდა, რადგან იმ მომენტში მისთვის არა ჩვეულებრივ (თუ შემადრწუნებელში არა) სიტუაციაში უწევდა ლაპარაკი. ამიტომ, აუცილებელია ამ სახის დოკუმენტების კითხვა სტრიქონებს შორის დამალული ინფორმაციის გამოვლენის მიზნით. სტრიქონებს შორის კითხვა ცდად ღირს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისტორიკოსები ამას გინზბურგის და ლე რუა ლადიურის დახვეწილობით აკეთებენ.

თუმცა ასეთი კითხვის პრინციპები ყოველთვის გარკვეული არ არის. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღიარებას, რომ სოციალური კუთვნილების თვალსაზრისით გაურკვეველი ადამიანის (მაგალითად მუშა ქალი) აღწერა, ან უტყვი და მდუმარე მიცვალებულთა (ისინიც ტოტალური ისტორიის ნაწილი არიან) მოსმენა უფრო რისკიანი წამოწყებაა, ვიდრე ტრადიციული ისტორიის საკვლევი პრობლემის შესწავლა. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, კარლოს დიდის პერიოდის პოლიტიკური ისტორიის წყაროები ისევე მწირი და არასაიმედოა, როგორც მეთექვსმეტე საუკუნის პოპულარული კულტურის ისტორიის მონაცემები.

34

საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო ზეპირ მონაცემებს. მაგალითად, აფრიკის ისტორიის სპეციალისტი ჟან ვანსინა (Jan Vansina) ზეპირი ტრადიციის საუკუნეების მანძილზე სანდოობის პრობლემას იკვლევდა. თანამედროვე ისტორიკოსი პოლ ტომპსონი (Paul Thompson) დაინტერესებულია ედუარდის ეპოქის ყოფის რეკონსტრუქციით. განხილულ იქნა ისტორიკოს-ინტერვიუერის და ინტერვიუს სიტუაციის გავლენა მოწმეთა მონაცემებზე.³⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირი მონაცემების კრიტიკა არ არის ისე დახვეწილი, როგორც დოკუმენტების კრიტიკული ანალიზი, რომლის ტრადიცია საუკუნეებია არსებობს. საკუნის მეოთხედში გავლილი მანძილის და კვლავ გასავლელი გრძელი გზის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ, თუ ერთმანეთს შევადარებთ ზეპირ ტრადიციაზე ვანსინას კვლევის პირველ გამოცემას, რომელიც **1961** წელს დაიბეჭდა, და ამავე ნაშრომის **1985** წლის მთლიანად გადამუშავებულ ვერსიას.³⁶

ეს სიტუაცია გავს ფოტოგრაფიის, ხატების/გამოსახულებების და ზოგადად მატერიალური კულტურის მონაცემების შემთხვევას. ფოტოგრაფიის შესახებ ბოლო დროინდელმა კვლევამ (ფილმების ჩათვლით) გამოაშკარავა იმ შეხედულების მცდარობა, რომ ფოტოკამერა ობიექტურად აღბეჭდავს რეალობას. ამის საპირისპიროდ ნაჩვენებია, რომ ფოტოგრაფების მიერ კადრების არჩევა განპირობებულია მათი ინტერესებით, რწმენებით, ღირებულებებით და ცრურწმენებით (prejudice). ასევე ხაზგასმულია, მათი დამოკიდებულება, ცნობიერად თუ არაცნობიერად, გამომსახველობით ხელოვნებაში არსებულ სტანდარტებზე. თუ ვიქტორიანული პერიოდის ფოტო სურათი, რომელიც სოფლის ცხოვრების ასახავს, მეჩვიდმეტე საუკუნის ჰოლანდიურ პეიზაჟებს გავს, ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ფოტოგრაფები ცდილობდნენ შეექმნათ, როგორც ტომას ჰარდიმ (Thomas Hardy) აღნიშნა თავისი ნაშრომის ქვესათაურში *გრინვუდის ხის ქვეშ/Under the Greenwood Tree*, ჰოლანდიური სკოლის ფერწერული ტილოს მსგავსი სურათი. ისტორიკოსების მსგავსად, ფოტოგრაფები გთავაზობენ რეალობის რეპრეზენტაციას და არა მის ობიექტურ ასახვას. რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ფოტოგრაფიული გამოსახულებების, როგორც წყაროს, კრიტიკული ანალიზის თვალსაზრისით, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.³⁷

რაც შეეხება გამოსახულებებს, მათი იკონოგრაფიისა და იკონოლოგიის გაშიფვრას დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ მეოცე საუკუნის შუა ხანებში, როცა მოღვაწეობდნენ ისეთი ვირტუოზები, როგორებიც იყვნენ ერვინ პანოფსკი (Erwin Panofsky) და ედგარ ვინდი (Edgar Wind). შემდეგ კი ენთუზიაზმის ეპოქა სკეპტიციზმის ცივმა პერიოდმა შეცვალა. განსაკუთრებით ძნელია ფარული მნიშვნელობის ინტერპრეტაციის კრიტერიუმების ფორმულირება.³⁸ იკონოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც სხვა თემატიკის მკვლევარმა ისტორიკოსებმა დაიწყეს სურათების გამოყენება თავიანთი მიზნებისთვის. კერძოდ, ისინი ამ სახის მასალას იყენებდნენ როგორც წყაროს რელიგიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებათა გამოსავლენად. მაგალითად, ძალიან ადვილია უთავბოლოდ იკამათო ალბრეხტ დიურერის სურათში სულიერი კრიზისის ნიშნების არსებობის შესახებ და შემდეგ არგუმენტაციისთვის მოიხმო ეს სურათი.³⁹

მატერიალური კულტურა რა თქმა უნდა არქეოლოგების ტრადიციული სფეროა, რომლებიც იმ პერიოდს იკვლევენ, რომლის შესახებ წერილობითი წყაროები არ არსებობს. თუმცა არანაირი საფუძველი არ გაქვს იმისათვის, რომ არქეოლოგიური მეთოდების გამოყენება მხოლოდ პრეისტორიული პერიოდით შემოვფარგლოთ. არქეოლოგებმა ხელი მოკიდეს შუა საუკუნეების, ადრეული ინდუსტრიული რევოლუციის და ამ ბოლო დროს თითქმის ყველა პერიოდის შესწავლას: კოლონიური ამერიკიდან თანამედროვე მომხმარებლურ საზოგადოებამდე.⁴⁰

ისტორიკოსები იწყებენ მათ მიზამკვას არქეოლოგიური გათხრებით თუ არა (ვერსალი და ადრეული მოდერნის პერიოდის სხვა მთავარი შენობები საბედნიეროდ არქეოლოგიურ გათხრებს არ საჭიროებენ), სულ ცოტა, ფიზიკურ საგნებზე ყურადღების აქცენტირებით. ადრეული მოდერნის ეპოქაში ინდივიდუალიზმის და კერძო საკუთრების ზრდაზე მიუთითებს არა მარტო დღიურის ჩანაწერები, არამედ ინდივიდუალური ფინჯნების (ნაცვლად საერთო თასებისა), სკამების (ნაცვლად საერთო სკამებისა) და სპეციალური საწოლების გავრცელება.⁴¹

ამ შემთხვევაში, საინტერესოა შეუძლია თუ არა მატერიალურ კულტურას გააკეთოს იმაზე მეტი ვიდრე წერილობითი მონაცემების საფუძველზე აგებული ჰიპოთეზების დადასტურება? შეუძლია თუ არა არქეოლოგიას, რომელიც შეისწავლის პერიოდს **1500** წლიდან (სულ ცოტა დასავლეთში) გააკეთოს უფრო მეტი? გვიან სერ მოსეს ფინლიმ (Moses Finley) განაცხადა, რომ “გარკვეული სახის დოკუმენტების არსებობა არქეოლოგიის საჭიროებას ასე თუ ისე ეჭვ-ქვეშ აყენებს”. მან ამ ერთი ფრაზით ინდუსტრიული არქეოლოგია ნაგვის კალათაში მოისროლა.⁴² მისი გამოწვევა სერიოზულ პასუხს იმსახურებს, მაგრამ პოსტ-მედიაველური ისტორიისთვის მატერიალური კულტურის მონაცემების ღირებულების შეფასება ჯერ კიდევ გასაკეთებელი რჩება.

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მატერიალური კულტურის ისტორია, სფერო რომელმაც ბოლო რამდენიმე წელიწადია დიდი ინტერესი გამოიწვია, უფრო წერილობით წყაროებზეა დამყარებული ვიდრე არტეფაქტების შესწავლაზე. ისტორიკოსები დაინტერესებულნი არიან ე.წ. “საგნების სოციალური ცხოვრებით”/the social life of things – ან, უფრო ზუსტად, სოციალური ჯგუფების ცხოვრებით, რომელიც ვლინდება მათ მიერ საგნების გამოყენების თავისებურებებში. ამ შემთხვევაში, ისტორიკოსები იყენებენ ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა მოგზაურთა აღწერები (მათში ძირითადად საუბარია კონკრეტული საგნების მდებარეობასა და ფუნქციების შესახებ) ან ქონების აღწერილობები, რომელთა გაანალიზება რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით უნდა მოხდეს.⁴³

ბოლო პერიოდში ისტორიულ კვლევაში ყველაზე მნიშვნელოვანი, და ამასთან ყველაზე საკამათო, ინოვაცია იყო რაოდენობრივი მეთოდების დანერგვა და გავრცელება. ამ მეთოდებს ზოგჯერ ირონიულად ”კლიომეტრიის” სახელით აღნიშნავენ. სხვა სიტყვებით, ეს ისტორიისათვის საჭირო სტატისტიკაა. კლიომეტრული მიდგომა დიდი ხანია გამოიყენება ეკონომიკური ისტორიკოსების და ისტორიული დემოგრაფების მიერ. ახალი არის (ან იყო) ის, რომ ეს მეთოდები **1960**–იან და **1970**–იან წლებში სხვა სახის ისტორიულ კვლევებში გავრცელდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს “ახალი პოლიტიკური ისტორია” რომლის მიმდევრებიც ითვლიან არჩვენებში ან პარლამენტში მიცემულ ხმებს.⁴⁴ საფრანგეთში ჩამოყალიბდა ”სერიული ისტორია” (“histoire serielle”), რომელსაც ასე იმიტომ ეწოდა, რომ მონაცემები დროის მიხედვით სერიულად იყო

დალაგებული. სერიული ისტორიის სფერო თანდათანობით ფართოვდებოდა. თავდაპირველად მის სფეროში შედიოდა ფასების კვლევა (1930–იან წლებში), შემდეგ მოსახლეობის შესწავლა (1950–იან წლებში) და ბოლოს, რელიგიის ისტორიის ან სეკულარული მენტალობის ე.წ. მესამე დონის ანალიზი.⁴⁵ თანამედროვე საფრანგეთის ე.წ. "დექრისტიანობის" შესახებ ერთი ცნობილი კვლევა მონაცემებს სააღდგომო ზიარების დადმავალი ციფრებიდან იღებს. სხვა ნაშრომი, რომელიც მე-18 საუკუნის პროვანსს ეხება, სიკვდილისადმი დამოკიდებულის ცვლილებებს იკვლევს 30,000 ანდერძის საფუძველზე, რომელთა ფორმულირება ახავს ამ ცვლილებათა ტენდენციებს. მაგალითად, კვლევაში აღწერილია თუ როგორ მცირდებოდა ანდერძებში "ციური სამსჯავროს" ხსენება, ასევე დაკრძალვის ცერემონიის ორგანიზების ან მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი მესის ჩატარების თხოვნები.⁴⁶

ბოლო წლებში სტატისტიკამ, რომელიც უკვე კომპიუტერული პროგრამებით არის მხარდაჭერილი, რანკეანული ისტორიის ციტადელში, არქივებშიც კი შეაღწია. მაგალითად, ამერიკის ნაციონალურ არქივს (American National Archives) უკვე აქვს მონაცემთა ელექტრონული ბაზა (Machinne-Readable Data Division) და არქივის თანამშრომლები თანაბრად ზრუნავენ, როგორც ადრეული, არა ელექტრონული საარქივო მასალის შენახვაზე, ასევე ელექტრონული მონაცემების უსაფრთხოებაზე. ამის შედეგად, ისტორიკოსები სულ უფრო ხშირად ეცნობიან ძველ არქივებს, მაგალითად ინკვიზიციის შესახებ მასალებს, "მონაცემთა ბანკის" სახით, რომელიც შეიძლება რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით დამუშავდეს.⁴⁷

ისტორიულ დისკურსში დიდი ოდენობით სტატისტიკის ჩართვამ პროფესიის პოლარიზება გამოიწვია მხარდაჭერებად და ოპონენტებად. ორივე მხარე მეტისმეტად აზვიადებს ციფრების გამოყენებით გამოწვეულ პრობლემებს. ციფრები შეიძლება იყოს ყალბი, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას ტექსტებზეც. ადვილია სტატისტიკის არასწორად ინტერპრეტირება, მაგრამ ამისგან არც ტექსტებია დაზღვეული. ელექტრონული მონაცემების გამოყენება არ არის ადვილი, მაგრამ იგივე ხდება ხელნაწერის შემთხვევაშიც, რომლებიც თითქმის გაურკვეველი ხელით არის დაწერილი ან კიდევ სიძველის გამო ნაკუწებად დაშლის ზღვარზეა. საჭიროა გონივრულად იმის განსაზღვრა თუ რა სახის სტატისტიკაა საიმედო, რა მასშტაბებით და რა მიზნებისთვის. სერიული ისტორიის ფუნდამენტური ცნება - სერია პრობლემურად გააზრებას საჭიროებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლილებების შესწავლა ხანგრძლივ დროით პერსპექტივაში ხდება. რაც უფრო ხანგრძლივია პერიოდი, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ სერიის ერთეულები - ანდერძები, სააღდგომის ზიარების შესახებ ჩანაწერები, ან ნებისმიერი რამ - ჰომოგენური იყოს. მაგრამ თუ მათში დევს მათივე ცვლილებების მიზეზები, მაშინ როგორ შეიძლება ისინი გამოყენებულ იქნას სხვა ცვლილებების გასაზომად?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა (ფოტოგრაფიის და სხვა ახალი წყაროების შემთხვევაში, რომლებიც უკვე განვიხილეთ) ახალი “დიპლომატია”. ეს ტერმინი გამოიყენა ბენედიქტელმა სწავლულმა ჟან მაბილიონმა თავის ქარტიების გამოყენების სახელმძღვანელოში, იმ დროს (მე-17 საუკუნის ბოლო) როდესაც ამ ტიპის მონაცემებზე მოთხოვნა ახალი იყო და გარკვეულ ეჭვებს აღძრავდა ტრადიციულ ისტორიკოსებში.⁴⁸ ვინ გახდება სტატისტიკის, ფოტოგრაფიის ან ზეპირი ისტორიის მაბილიონი?

ანალიზის პრობლემა

უკვე აღინიშნა, რომ ისტორიკოსთა სფეროს გაფართოება იწვევს ისტორიული ანალიზის ხელახალ გააზრებას, რადგან სოციალური და კულტურული ტენდენციების ანალიზი შეუძლებელია ისევე გაკეთდეს, როგორც პოლიტიკური მოვლენებისა. ისინი უფრო მეტად სტრუქტურულ ანალიზს მოითხოვენ. ისტორიკოსები, მოსწონთ მათ ეს თუ არა, უნდა დაკავდნენ იმ საკითხებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე სოციოლოგებისა და სოციალურ მეცნიერებათა სხვა სფეროების წარმომადგენლების ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ვინ არის ისტორიის ნამდვილი მოქმედი პირი, ინდივიდები თუ ჯგუფები? შეუძლიათ მათ ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურების წნეხს? ეს სტრუქტურები ზღუდავენ მოქმედების თავისუფლებას, თუ შესაძლებლობას აძლევენ ისტორიის მოქმედ პირებს გააკეთონ არჩევანი?⁴⁹

1950 - 1960-იან წლებში ეკონომიკური და სოციალური ისტორიკოსებიდან ზოგი ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებდა უპირატესობას, როგორც მარქსისტები, ზოგი გეოგრაფიას, როგორც ბროდელი, ზოგიც მოსახლეობის მოძრაობას (სოციალური ცვლილებების ე.წ. “მალთუსის მოდელის” შემთხვევაში), მაგრამ ყველა მათგანი, უმთავრესად, ისტორიული ანალიზის მეტ-ნაკლებად დეტერმინისტულ მოდელს იყენებდა. მაგრამ დღეს, ყველაზე მიმზიდველი ის მოდელებია, რომლებიც ხაზს უსვამენ უბრალო ხალხის არჩევანის თავისუფლებას, მათ სტრატეგიებს, მათ შესაძლებლობას, გამოიყენონ პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ცვალებადობა და არათანმიმდევრულობა გამოსავლის პოვნისა და გადარჩენისათვის. ისტორიული კვლევის სფეროს გაფართოებამ პოლიტიკურ ისტორიაზეც იქონია გავლენა, რადგან პოლიტიკური მოვლენებიც შესაძლოა გაანალიზდეს სხვადასხვაგვარად. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის კვლევის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ამ მოვლენას განსხვავებულად ახსნიან, ერთი მხრივ ის მკვლევრები, რომლებიც ”ქვემოდან დანახული ისტორიის” კონტექსტში სწავლობენ მას, ხოლო მეორე მხრივ ისინი, რომლებიც ყურადღებას ლიდერების ქმედებებსა და განზრახვებზე ამახვილებენ. ის მკვლევრებიც კი, რომლებიც აქცენტს ლიდერებზე აკეთებენ, ხანდახან სცილდებიან ისტორიული ანალიზის ტრადიციულ მოდელებს

და კვლევის დროს ითვალისწინებენ არაცნობიერ, ისევე როგორც ცნობიერ, მოტივებს. ამას კი იმით ხსნიან, რომ ტრადიციული მოდელები გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ცნობიერებასა და რაციონალობას.

მაგალითად, ფსიქოისტორიკოსების ჯგუფმა, რომელთა უმეტესობა შეერთებულ შტატებში ცხოვრობს (იქ ფსიქოანალიზმა უფრო მეტად გამსჭვალა კულტურა, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას) სცადა ფროიდის მიგნებების ინკორპორაცია ისტორიულ კვლევაში. ამ ტენდენციისთვის თვალის მიდევნება შეიძლება დაწყებული ფსიქოანალიტიკოს ერიკ ერიკსონისაგან, რომლის ნაშრომმა “ახალგაზრდა ლუთერის” იდენტობის პრობლემების შესახებ სენსაცია გამოიწვია 1950-იან წლებში, დამთავრებული ისტორიკოს პიტერ გეთ (Peter Gay), ორივე მათგანი ფსიქოისტორიის მიმართულებით აწარმოებდა კვლევას. მოულოდნელი არ არის, რომ ამ მიდგომამ წინააღმდეგობა გამოიწვია და ეს მეცნიერები “ისტორიის დავიწროვებაში” დაადანაშაულეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი ოპონენტებისთვის მიუღებელი იყო ზრდასრული ინდივიდის (ან ინდივიდებს შორის კონფლიქტის) კომპლექსურობის გამარტივება და მისი ახსნა ბავშვის მშობელთან ურთიერთობით.⁵⁰

დღეს ისტორიულ ანალიზთან დაკავშირებული წინააღმდეგობრიობის საილუსტრაციოდ, შესაძლოა საინტერესო იყოს ჰიტლერის მაგალითი. ადრეულმა დებატებმა, მაგალითად ჰ.რ. თრევორ-როფერსა (H.R. Trevor-Roper) და ა.ჯ. ტაილორს (A.J.P. Taylor) შორის ჰიტლერის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მნიშვნელობის შესახებ, აჩვენა ისტორიული ანალიზის ტრადიციული მოდელის ვალიდურობა ცნობიერი განზრახვების კვლევის თვალსაზრისით. მაგრამ მოგვიანებით დებატები გაფართოვდა. თავადპირველად ზოგიერთმა ისტორიკოსმა, მაგალითად, რობერტ ვეითმა (Robert Waite) შემოგვთავაზა ჰიტლერის პიროვნების ინტერპრეტაცია არაცნობიერი განზრახვების და ფსიქოპათოლოგიის კუთხითაც კი, აღნიშნა რა მისი სექსუალური გადახრილობა, დედამისის სიკვდილით (ებრაელ ექიმთან მკურნალობის შემდეგ) გამოწვეული ტრავმა და სხვ.⁵¹

ისტორიკოსების სხვა ჯგუფმა მთლიანად უარყო ის, რასაც მათ “ინტენციონალიზმი” უწოდეს, რადგან ისინი ჰიტლერის მოტივების და განზრახვების პრობლემას შედარებით მარგინალურად განიხილავენ. ამ “ფუნქციონალისტების” (ან “სტრუქტურული ისტორიკოსების”, როგორც მე ვამჯობინებდი მათ აღნიშვნას) თანახმად, მესამე რეიხის პოლიტიკის ისტორიული ანალიზი კონცენტრირებული უნდა იყოს ჰიტლერის გარემოცვაზე, მთავრობის აპარატზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და ასევე ნაციზმზე, როგორც სოციალურ მოძრაობაზე.⁵² არიან ასევე ისტორიკოსებიც, რომლებიც აერთიანებენ სტრუქტურულ და ფსიქოისტორიულ მიდგომებს და ცდილობენ ახსნან, თუ რა იყო ის რაც იზიდავდა ნაცისტების ჰიტლერში.⁵³

ის რაც მიმზიდველსა და დამაბნეველს ხდის დისკუსიას ჰიტლერის შესახებ, ისევე როგორც უკანასკნელი პერიოდის სხვა საისტორიო დისკუსიებს, არის ის, რომ

იგი აღარ მიმდინარეობს წესების დაცვით. ტრადიციული შეხედულება იმის შესახებ, თუ რა არის კარგი ისტორიული ანალიზი, უკვე აღარ არსებობს. ეს არის გარდამავალი პერიოდი, რომელიც მოიტანს ახალ კონსენსუსს, თუ გზა, რომლის მიხედვით წარიმართება მომავალში საისტორიო დებატები?

თუ მიიღწევა ასეთი კონსენსუსი, მაშინ სფეროს რომელსაც შეიძლება “ისტორიული ფსიქოლოგია” (კოლექტიური ფსიქოლოგია) ეწოდოს, განსაკუთრებულ ინტერესს დაიმსახურებს. ის ერთმანეთთან დააკავშირებს ცნობიერი და არაცნობიერი მოტივაციების შესახებ დებატებს და ინდივიდუალური და კოლექტიური ანალიზის პრობლემასთან დაკავშირებულ დისკუსიას. იმედისმომცემია ამ სფეროსადმი ინტერესის ზრდა. უკანასკნელი პერიოდის მონოგრაფიები ყურადღებას უთმობენ ამბიციას, ბრახს, შფოთვის, შიშს, დანაშაულის გრძნობას, ფარისევლობას, სიყვარულს, სიამაყეს, უსაფრთხოების განცდას და სხვა ემოციებს. და მაინც, ასეთი ძნელად მოსახელთებელი ობიექტების კვლევის მეთოდის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.⁵⁴ ფსიქოლოგიური ანაქრონიზმის, ანუ იმ შეხედულების, რომ ადამიანები წარსულშიც ისევე განიცდიდნენ, როგორც ჩვენ, თავიდან აცილების მცდელობამ შესაძლოა მეორე უკიდურესობამდე მიგვიყვანოს, სრულიად “გააუცხოოს” წარსული და მიუწვდომელი გახადოს ის. ისტორიკოსები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. თუ ისინი სხვადასხვა პერიოდების სოციალურ ქცევაში არსებულ განსხვავებებს განსხვავებული გაცნობიერებული შეხედულებებით ან განსხვავებული სოციალური თანხმობით ახსნიან, ისინი ზედაპირულობის საფრთხის წინაშე დადგებიან. მეორე მხრივ, თუ ისინი არსებულ განსხვავებებს ღრმა სოციალური სტრუქტურების განსხვავებით ახსნიან, ისინი ამით უარყოფენ წარსულის ინდივიდუალური აქტორის თავისუფლებასა და მოქნილობას.

ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს სოციოლოგ პიერ ბურდიეს (Pierre Bourdieu) ცნების - სოციალური ჯგუფის ჰაბიტუსის - გამოყენება. ჯგუფის “habitus” ცნების ქვეშ ბურდიე გულისხმობს მისი წევრების მიდრეკილებას აირჩიოს პასუხები გარკვეული კულტურული რეპერტუარიდან კონკრეტული სიტუაციის ან სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. წესების ცნებისაგან განსხვავებით, ჰაბიტუსის დიდი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს აღიაროს ინდივიდუალური თავისუფლების გარკვეული ხარისხი კულტურის მიერ დაწესებულ ფარგლებში.⁵⁵

და მაინც, პრობლემა კვლავ რჩება. ჩემი აზრით, ახალი ისტორიის მიმდევრებმა, ედუარდ თომფსონით (Edward Thompson) დაწყებული და როჟე შარტიეთი (Roger Chartier) დამთავრებული, თვალნათლივ ცხადყვეს, რომ მოკლე დროში ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის ტრადიციული მატერიალისტური და დეტერმინისტული ანალიზი არაადეკვატურია და რომ ყოველდღიურ ცხოვრებასა და კრიზისულ პერიოდებში კულტურას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.⁵⁶ მეორე მხრივ, მათ ცოტა რამ გააკეთეს გრძელვადიან პერსპექტივაში მატერიალური ფაქტორების,

ფიზიკური გარემოსა და რესურსების მნიშვნელობის წარმოსაჩენად. კვლავაც საჭიროდ გვეჩვენება ამ მატერიალური ფაქტორების გათვალისწინება დღის წესრიგის შესადგენად და იმ პრობლემების წინ წამოსაწევად, რომელთა გადაჭრას და რომელთა მიმართ ადაპტირებას ცდილობენ ინდივიდები, ჯგუფები და, მეტაფორულად რომ ვთქვათ, კულტურები.

სინთეზის პრობლემა

ისტორიკოსის სამყაროს გაფართოება და სხვა დისციპლინებთან, გეოგრაფიით დაწყებული და ლიტერატურის თეორიით დამთავრებული, დიალოგის გააქტიურება ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ამ წინსვლას თავისი საზღაურიც აქვს. საისტორიო დისციპლინა არასოდეს ყოფილა ისეთი დანაწევრებული, როგორც ახლა. ეკონომიკური ისტორიის წარმომადგენლებს შეუძლიათ ეკონომისტების ენაზე ისაუბრონ, ინტელექტუალური ისტორიის მკვლევრებს - ფილოსოფოსების ენაზე, სოციალური ისტორიკოსები სოციოლოგებისა და სოციალური ანთროპოლოგების დიალექტებს ფლობენ, მაგრამ ისტორიკოსთა ამ ჯგუფებს სულ უფრო და უფრო უჭირთ ერთმანეთთან საუბარი. უნდა შევეგუოთ ამ სიტუაციას თუ არის სინთეზის შესაძლებლობა?

ამ შემთხვევაში შეუძლებელია პრობლემის შესახებ პირად ხედვაზე უფრო მეტის შეთავაზება. ჩემი შეხედულება შეიძლება შეჯამდეს ორი დაპირისპირებული დებულების სახით, რომელიც უფრო ავსებს ერთმანეთს, ვიდრე გამორიცხავს. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ქვედისციპლინების რიცხვის ზრდის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს მხოლოდ ისტორიისთვის არ არის დამახასიათებელი. ჩვენს გვიანინდუსტრიულ (თუ პოსტინდუსტრიულ) ეპოქაში ისტორიკოსის პროფესია შრომის დანაწილების მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია სხვა მრავალთა შორის. პროლიფერაციის ამ პროცესს თავისი დადებითი მხარეები აქვს: ის ამდიდრებს ცოდნას, განაპირობებს მეთოდების დახვეწას და უფრო მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას.

სარგებელთან ერთად, საფასურიც არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია რამე ვიღონოთ, რომ ეს ინტელექტუალური საზღაური მაქსიმალურად დაბალი იყოს. დისციპლინებსა და სუბდისციპლინებს შორის კომუნიკაციის არ არსებობის თავიდან აცილება შესაძლებელია. ისტორიის შემთხვევაში შესამჩნევია დაახლოების, თუ სინთეზის არა, დამაიმედებელი ნიშნები.

სტრუქტურული ისტორიის მიმართ ენთუზიაზმის გაღვივებისას მოვლენათა ისტორია თითქმის მთლიანად იგნორირებული გახდა. ამის მსგავსად, სოციალური ისტორიის აღმოჩენა ხანდახან პოლიტიკური ისტორიის უგულვებელყოფასთან და ტრადიციული პოლიტიკური ისტორიკოსების შესახებ წარმოდგენის ცვლილებასთან ასოცირდებოდა. ახალი სფეროები, როგორცაა ქალთა ისტორია და პოპულარული კულტურის ისტორია ხანდახან მამაკაცთა ისტორიისა და დასწავლილი

კულტურისაგან დამოუკიდებლად (ან დაპირისპირებულადაც კი) განიხილებოდა. მიკროისტორია და ყოველდღიური ყოფის ისტორია იყო რეაქცია დიდი სოციალური ტენდენციებისა და ჩვეულებრივი ადამიანის გარეშე წარმოდგენილი საზოგადოებების კვლევაზე. ახლა შესაძლებელია ამ რეაქციის საწინააღმდეგო რეაქციას და ოქროს შუალედის ძიებას მივადევნოთ თვალი. პოპულარული კულტურის მკვლევრები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან "მაღალსა" და "დაბალს" შორის ურთიერთობის ცვალებადობის, ასევე, "პოპულარული კულტურისა და განათლებული ადამიანების კულტურის ურთიერთგადაკვეთის მომენტების" აღწერითა და ანალიზით.⁵⁷ ქალთა ისტორიის მკვლევრებმა გააფართოვეს საკუთარი ინტერესის სფერო და მოიცვეს ზოგადად გენდერული ურთიერთობები და მამაკაცურობისა და ქალურობის ისტორიული კონსტრუქციები.⁵⁸ მოვლენებსა და სტრუქტურებს შორის ტრადიციულ ოპოზიციას ენაცვლება მათი ურთიერთმიმართების გარკვევის ინტერესი და ზოგიერთი ისტორიკოსი იყენებს ანალიზის ნარატიულ ფორმას ან ნარატივის ანალიტიკურ ფორმას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რომ ხანგძლივი დაპირისპირება პოლიტიკურსა და არაპოლიტიკურ ისტორიკოსებს შორის საბოლოოდ ქრება. გ. მ. ტრეველიანის (G. M. Trevelyan) მიერ სოციალური ისტორიის ცნობილი დეფინიცია, რომ ეს არის "ისტორია პოლიტიკის გარეშე", ახლა უარყოფილია თითქმის ყველა ისტორიკოსის მიერ. ამის სანაცვლოდ, შესამჩნევია ინტერესი სოციალური ელემენტის მიმართ პოლიტიკაში და პოლიტიკური ელემენტის მიმართ საზოგადოებაში. ერთი მხრივ, პოლიტიკის ისტორიკოსები აღარ იზღუდებიან მხოლოდ მაღალი პოლიტიკით, ლიდერებითა და ელიტით. ისინი იკვლევენ არჩევნების გეოგრაფიას და სოციოლოგიას და ასევე "რესპუბლიკას სოფელში"/Republic in the village.⁵⁹ ისინი იკვლევენ "პოლიტიკურ კულტურას", იმ შეხედულებებს პოლიტიკაზე, რომლებიც ყოველდღიური ყოფის ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან პერიოდებისა და რეგიონების მიხედვით. მეორე მხრივ, საზოგადოება და კულტურა ახლა გადაწყვეტილების მიღების არენად მიიჩნევა და ისტორიკოსები განიხილავენ "ოჯახის პოლიტიკას", "ენის პოლიტიკას", ან იმ ფორმებს, რომელთა მეშვეობით რიტუალი გამოხატავს და გარკვეულწილად ქმნის კიდევ ძალაუფლებას.⁶⁰ ამერიკელი ისტორიკოსი მაიქლ კამენი (Michael Kammen), ალბათ მართებულად აღნიშნავს, რომ "კულტურის" ცნება, ფართო ანთროპოლოგიური გაგებით, შეიძლება ისტორიის კვლევის სხვადასხვა მიდგომის რეინტეგრაციის საფუძველი გახდეს.⁶¹

ჩვენ კვლავ შორს ვართ ბროდელის მიერ შემოთავაზებული "ტოტალური ისტორიისაგან". მართლაც არარეალური იქნებოდა იმის რწმენა, რომ ეს მიზანი ოდესმე შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგრამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა ამ მიართულებით.

შენიშვნები

¹ამ ესეს შექმნა მნიშვნელოვანწილად არის დავალებული რაფაელ სამუელთან (Raphael Samuel) მრავალწლიანი დისკუსიისაგან, ასევე Gwyn Prins და კემბრიჯის ემანუელის კოლეჯის სტუდენტების რამდენიმე თაობის, ხოლო უკანასკნელ ხანს, ნილო ოდალიას (Nilo Odalia) და არარაკუარას Universidade Estadual de Sao Paolo-ში ჩემი ლექციების აქტიური აუდიტორიისაგან.

²ცნობილი (და საკამათო) მაგალითი იხ. R.W. Fogel და S. Engerman, *Time on the Cross* (Boston, 1974). დღეს ეკონომიკური ისტორიის მდგომარეობის საინტერესო შეფასებაა მოცემული წიგნში D.C. Coleman, *History and Economic Past* (Oxford, 1987).

³J. Vincent, *The Formation of the British Liberal Party* (London, 1966)

⁴J. le Goff, (ed.), *La nouvelle histoire* (Paris, 1978); J. le Goff and P. Nora (eds.), *Faire de l'histoire* (3 vols, Paris, 1974). ამ კრებულის ზოგიერთი ესე ხელმისაწვდომია ინგლისურად: J. le Goff and P. Nora, (eds.), *Constructing the Past* (Cambridge, 1985).

⁵T.S. Kuhn, *The Structure of Scientific Revolutions* (New York, 1961).

⁶J.B.S. Haldane, *Everything has a History* (London, 1951).

⁷P. Ariès, *Centuries of Childhood* tr.R. Baldick, London, 1962); P. Ariès, *The Hour of Our Death*, tr. H.Weaver (London. 1981); M. Foucault, *Madness and Civilization*, tr. R. Howard (London, 1967); E. Le Roy Ladurie, *Times of Feast, Times of Famine*, tr. B. Bray (New York. 1971); A Corbin, *The Foul and the Fragrant*, translation (Cambridge. 1988); J.-C. Schmitt, (ed.), *Gestures*, special issue, *History and Anthropology* 1 (1984); R. Bauman, *Let Your Words be Few* (Cambridge. 1984).

⁸F. Braudel, *The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II*, tr. S. Reinolds, 2nd edn (2 vols, London 1972-3).

⁹გამომცდელის სახელი იყო ლუის ნამიერი (Lewis Namier). R. Cobb. *The Police and the People*. (Oxford. 1970), p. 81.

¹⁰E. Hoornaert et al., *Historia da Igreja no Brasil: ensaio de interpretacao a partir do provo*, Petropolis, 1977.

¹¹J.G.A. Pocock, "The Concept of a Language", in *The Language of Political Theory*, (ed.) A. Pagden (Cambridge, 1987). Cf. D. Kelley, "Horizons of Intellectual History", *Journal of the History of Ideas* 48 (1987), pp. 143-69, and "What is Happening to the History of Ideas?" *Journal of the History of Ideas* 51(1990), pp. 3-25.

¹²R.G. Collingwood, *The Idea of History*, (Oxford, 1946), pp. 213ff.

¹³Braudel (1949).

¹⁴ციტირებულია *Varieties of History*, ed., F.Stern (New York, 1956), p.249.

¹⁵ტერმინი აღებულია ცნობილი რუსი კრიტიკოსის მიხეილ ბახტინის ნაშრომიდან *Dialogic Imagination*, tr. C. Emerson and M.Holquist (Austin, 1981), pp. xxi, 49,55,263,273, Cf.M. de Certeau. *Heterologies: Discourse on the Other*, tr. M.Massumi (Minneapolis, 1986).

¹⁶იხ. *History Workshop Journal*-ის თითქმის ყოველი გამოცემა.

¹⁷CF.P. Burke, *The French Historical Revolution*, (Cambridge, 1990), p.113

¹⁸J. H. Robinsin, *The New History* (New York, 1912); cf. J.R. Pole, "The New History and the sense of Social Purpose in American Historical Writing" (1973, reprinted in his *Paths to the American Past* (New York, 1979, pp.271-98).

- ¹⁹ L. Orr, "The revenge of literature", *New Literary History* **18** (1986), pp.1-22.
- ²⁰ R. Fruin, "De nieuwe historiographie", reprinted in his *Verspreide Geschriften* **9** (The Hague, 1904), pp.410-18.
- ²¹ M. Harbsmeier, "World Histories before Domestication" *Culture and History* **5** (1989) pp. 93-131.
- ²² W. Alexander, *The History of Women* (London, 1779); C. Meiners, *Geschichte des weiblichen Geschlechts* (4 vols, Hanover, 1788-1800)
- ²³ W. Cronon, *Changes in the Land* (New York, 1983); A. W. Crosby, *Ecological Imperialism* (Cambridge, 1986)
- ²⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით მკვეთრ კომენტარებს ვხვდებით E. Said, *Orientalism* (London, 1978)
- ²⁵ C.F. R. Porter, "The Patient's View: Doing Medical History from Below", *Theory and Society* **14** (1985), pp. 175-98.
- ²⁶ უბრალო ჯარისკაცების შესახებ იხილეთ J. Keegan, *The Face of Battle* (London, 1976).
- ²⁷ J. Ozouf, (ed), *Nous les maitres d'ecole* (Paris, 1967) ეხება დაწყებითი სკოლის/elementary school მასწავლებლებს. c.1914
- ²⁸ L. Hunt, (ed.), *The New Cultural History* (Berkeley, 1989)
- ²⁹ F. Braudel, *Civilization matérielle et capitalisme* (Paris, 1967); revised ed. *Les structures du quotidien* (Paris, 1979); *The Structures of Everyday Life*, tr. M. Kochan (London, 1981). Cf. J. Kuczynski, *Geschichte des Alltags des Deutschen Volkes* (4 vols. Berlin, 1980-2)
- ³⁰ M. de Certeau, *L'invention du quotidien* (Paris, 1980); E. Goffman, *The Presentation of Self in Everyday Life* (New York, 1959) H. Lefebvre, *Critique de la vie quotidienne* (3 vols, Paris, 1946-81). Cf. f. Mackie, *The Status of Everyday life* (London, 1985).
- ³¹ J. Lotman, "the Poetics of Every day Behaviour in Russian Eighteen-Century Culture" in *The Semiotics of Russian Culture* ed. J. Lotman and B.A. Uspenskii (Ann Arbor. 1984), pp. 231-56; P. Burke, *Historical Anthropology of Early Modern Italy* (Cambridge, 1987), pp.5ff, 21 ff.
- ³² L Hunt. ed., *The New Cultural History* (Berkeley, 1989)
- ³³ N. Elias, "Zum Begriff des Alltags" in *Materiellen zur Sociologie des Alltags*, ed. K. Hammerich and M. Klein (Opladen, 1978), pp.22-9.
- ³⁴ Cf. P. Burke, *Popular Culture in Early Modern Europe* (London, 1978), chapter 3.
- ³⁵ R. Samuel and P. Thompson, (eds), *The Myths We Live By* (London, 1990).
- ³⁶ P. Thompson, *The Voice of the Past* 1978; revised ed., Oxford, 1988); J. Vansina, *Oral Tradition*, tr. H.M. Wright (London, 1965) and *Oral Tradition as History* (Madison, 1985).
- ³⁷ P. Smith, (ed.), *The Historian and Film* (Cambridge, 1976); A. Trachtenberg, "Albums of War", *Representation* **9** (1985) pp. 1-32; J. Tagg, *The Burden of Representation: Essays on Photographies and Histories* (Amherst, 1988).
- ³⁸ E. Panovsky, *Essays in Iconology* (New York, 1939); E. Wind, *Pagan Mysteries in the Renaissance* (London, 1958). A more skeptical point of view is expressed by E.H. Gombrich, "Aims and Limits of Iconology" in his *Symbolic Images* (London, 1972), pp. 1-22.
- ³⁹ C. Ginzburg, "Da Aby Warburg a E.H. Gombrich", *Studi medievali* **8** (1966) pp. 1015-65. His criticism was directed against Fritz Saxl in particular. On iconography for historians of mentalities see, M. Vovelle (ed) *Iconography et histoire des mentalities* (Aix, 1979).

- ⁴⁰ K. Hudson, *The Archaeology of the Consumer Society* (London, 1983).
- ⁴¹ J. Deetz, *In Small Things Forgotten: the Archeology of Early American Life* (New York, 1977).
- ⁴² M.I. Finley, *The Use and Abuse of History* (London, 1975), p.101.
- ⁴³ A. Appadurai, (ed), *The Social Life of Things* (Cambridge, 1986).
- ⁴⁴ W. Aydelotte, *Quantification in History* (Reading, Mass., 1971); A.Bogue, *Clio and the Bitch Goddess: Quantification in American Political History* (Beverly Hills, 1983).
- ⁴⁵ P. Chaunu, "Le quantitative au 3e niveau" (1973: reprinted in his *Histoire quantitative, histoire serielle* (Paris 1978).
- ⁴⁶ G.Le Bras, *Etudes de sociologic religieuse* (2 vols, Paris 1955-6); M. Vovelle, *Piete baroque et dechristianisation* (Paris, 1973)
- ⁴⁷ G. Henningsen, "El "Banco de datos" del Santo Oficio", *Boletin de la Real Academia de Historia* 174 (1977). Pp. 547-70.
- ⁴⁸ J.Mabillon, *De re diplomatica* (Paris, 1681).
- ⁴⁹ C.Lloyd. *Explanation in Social History* (Oxford, 1986) გვთავაზობს ზოგად მიმოხილვას არაფილოსოფოსთათვის უფრო მისაწვდომია S. James. *The Content of Social Explanation* (Cambridge, 1984)
- ⁵⁰ E.Erikson, *Young Man Luther* (New York, 1958); P. Gay, *Freud for Historians* (New York, 1985); D. Stannard, *Shrinking History* (New York, 1980).
- ⁵¹ R.G.L Waite, *The psychopathic God: Adolf Hitler* (New York, 1977).
- ⁵² "ინტენციონალისტებსა" და "ფუნქციონალისტებს" შორის განსხვავებაზე ინფორმაცია ავიღე წიგნიდან: T. Mason, "Intention and Explanation" in *The Fuhrer State, Myth and Reality*, ed. G.Hirschfeld and L. Kettenacker (Stuttgart, 1981), pp. 23- 40. მაძღობას ვუხდი იან კერშოუს (Ian Kershaw) ამ სტატიისთვის.
- ⁵³ P. Lowenberg, "The Psychohistorical Origines of the Nazi Youth Cohort", *American Historical Review* 76 (1971) pp.1457-502.
- ⁵⁴ J.Delumeau, *La peur en occident* (Paris, 1978); and *Rassurer et proteger* (Paris, 1989); P.N. and C.Z.Stearns, "Emotionology", *American Historical Review* 90 (1986), pp. 813-36. C.Z. and P.N.Stearns, *Anger* (Chicago, 1986); T.Zeldin, *France 1848-1945* (2 vols, Oxford 1973-7).
- ⁵⁵ P. Bourdieu, *Outline of a Theory of Practice*, tr. R. Nice (Cambridge, 1977).
- ⁵⁶ არგუმენტი უჩვეულოა ნაშრომში G.Sider. *Culture and Class in Anthropology and History* (Cambridge, 1977).
- ⁵⁷ A. Gurevich, *Medieval Popular Culture*, tr. J.M. Bak and P.A. Hollingsworth (Cambridge, 1988).
- ⁵⁸ Editorial collective. "Why Gender and History?" *Gender and History* 1 (1989) p. 1-6.
- ⁵⁹ M. Agulhon, *The Republic in the Willage*, tr. J.Lloyd (Cambridge, 1982).
- ⁶⁰ M.Segalen, *Love and Power in the Peasant Family*, tr. S.Matthews (Cambridge, 1983); O.Smith, *The Politics of Language 1791-1815* (Oxford, 1984); D.Cannadine and S.Price, (eds.) *Rituals of Royalty* (Cambridge, 1987).
- ⁶¹ M. Kammen, "Extending the Rich of American Cultural History", *American Studies* 29 (1984), p. 19-42.